ნანა გონჯილაშვილი

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთი პარადიგმული სახე (ბივრიტ-ბივრილის თვალი-პატიოსანი)

„წმ. ნინოს ცხოვრებიდან“ მომდინარე არაერთი პარადიგმა ქართული ესთეტიკური აზროვნების მუდმივი თანმხლებია. ეს მრავალგვარადაა განპირობებული: ნაწარმოებში ასახულია ქრისტიანული საქართველოს ყველაზე უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან, ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული ამბები. ისინი მიემართებიან დიდი გარდატეხის ეპოქას — წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლას, რაც სახისმეტყველებაში უნდა ასახულიყო. ქართული ლიტერატურის ისტორიამ თავად ცხადყო „წმ. ნინოს ცხოვრების“ არაერთი სახის თუ სახე-სიმბოლოს პარადიგმულობა. ისინი სანიმუშონი ხდებიან ქართული სახისმეტყველებისათვის უძველესი პერიოდიდან თვით უახლესი ლიტერატურის ჩათვლით. ამ მრავალსახეობიდან გამოვლენილი ბივრიტ-ბივრილის სახე-სიმბოლოს და შეძლებისდაგვარად წარმოვაჩენთ მის პარადიგმულ არსს.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჭელიშური რედაქციის მიხედვით, ქართველთა წარმართული კერპის, არმაზის მსხვრევის შემდეგ გადარჩა მხოლოდ ერთადერთი თვალი პატიოსანი — ბივრიტ-ბივრილი.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციების მიხედვით, ბივრიტის თვალი პატიოსანი გამოყენებულია როგორც კერპ-ღვთაება არმაზის სამკაული; აგრეთვე — როგორც მხედველობის ორგანო (ხანდახან ორივე ფუნქცია აქვს დაკისრებული).

შატბერდული რედაქცია: „და სამჴარნი ესხნის ფრცხილი და ბივრიტი“ (13. 119).

ჭელიშური რედაქცია: „სამხარნი ოქროჲსანივე და თუალნი ვითარცა ფრცხილი და ბივრიტი“ (13. 119).

შატბერდულ-ჭელიშური რედაქციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ შემდეგდროინდელი ავტორები ბივრიტ-ბივრილის თვალს არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას აძლევენ. მათ მიერ თვალი პატიოსნის ფუნქცია ზუსტად არ არის მითითებული. „წმ.

ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ (13) და ლეონტი მროველისეულ (11) რედაქციებში, „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანსა (20) და ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიაში“ (9) მას სამკაულის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს დაკისრებული; ჭელიშურ (13), არსენ ბერისა (1) და უცნობი ავტორის (19) რედაქციებში კი სპეკალი მხედველობის ორგანოდაა განცდილი. თეიმურაზ ბატონიშვილის „ისტორიაში“ (10) ძვირფასი თვლები ორივე ფუნქციითაა დატვირთული.

ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში „თუალთაჲ“ (8) ბივრიტ-ბივრილის თვალი განმარტებულია არაერთგვაროვნად. კერძოდ, ბივრილი თავისი სისპეტაკით შედარებულია ღრუბელსა და წყალთან, აგრეთვე ცვილთან, რომელსაც ამეთვისტოს მომრუმო ფერი აქვს. იმავე თხზულებაში ბივრილი მომწვანო, ზღვის ფერია. იგი მეთერთმეტე თვალია და ეპიფანე კვიპრელის მიხედვით, იოსების (იაკობის მეთერთმეტე შვილის) სახელს უკავშირდება: „ႨႠ. თუალი ბივრილიონი. მეთერთმეტჱ თუალი ბივრილი რომელი მომრუმედ ჩანნ, ნათელის გამომცემელ არს, ზღჳს ფერ, ხილვითა – იაგუნდის მსგავს. მისუედა განწესებითა მით საკჳრველად დაიწერა მის ზედა სახელი იოსეფისი, რამეთუ ესე იყო მეათ ერთ მეტჱ შემდგომად ძმათა თჳსა, რომელი იგი უსაკჳრველესად იდიდა შორის ძმათა თჳსთა მისა მიმართვე ღუაწლითა მით ღმრთისაჲთა“ (8. 161).

შემდგომ ავტორი ბივრილის ფერს სისხლს ადარებს – იმ სისხლს, რომლითაც დაფერილი იყო იოსების სამოსელი. ავტორი ბივრილის თვალში დებს შემდეგ შინაარსს: ბივრილი მას მყუდროებისა და სიმშვიდის სიმბოლოდ მიაჩნია – “– ფერნი თუალისა ბჳვრილისანი, მოასწავებენ ყუდროებასა და სიმშვიდესა და სიწმინდესა იოსებისსა“ (8. 165). ბივრილი სამეფო სამკაულადაც ითვლებოდა.

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით – ბივრილი (ბივრიტი) „ზღვისა და ცის ფერია, იპოების ტავროს, ევფრატის განსავალსა“ (16. 101). იქვე საბას ცალკე გამოყოფილი აქვს ქვა-ბივრილიონის განმარტება. იგი აერთიანებს ამეთვისტოსა და ანთრაკს; პირველი მათგანი წითელი და იისფერია, მეორე კი – ნაკვერჩხლისფერი, რომელიც ღამით ცეცხლებრ ელავს.

დ. ჩუბინაშვილი ქართულ-რუსულ განმარტებით ლექსიკონში (21) ბივრიტ-ბივრილ-ბივრილიონს ბერილად და აქვამარინად თარგმნის, რომელთაგან ერთი მომწვანო-ცისფერი, მეორე კი მომწვანო-მოყვითალო-რუხია.

ვ. ბარნოვი „არმაზის მსხვრევაში“ (4) სწორედ ბივრილიონს თვლის იმ ძვირფას თვლად, რომელიც არმაზს თვალებად ესხა.

როგორც ლიტერატურის გაცნობით ირკვევა, ბივრიტ-ბივრილის თვალის ფერი შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს – ცისა და სისხლისფერი, რაც ერთმანეთს გამორიცხავს, რადგან პირველი სიმყუდროვეს, სიმშვიდეს და სიწმინდეს გამოხატავს, მეორე კი დიდების, ბრწყინვალების და ამასთანავე ბობოქარი, დაუდგრომელი ვნების სიმბოლოა; ერთგან მზეა ზეცის თაღზე, მეორეგან კი მხოლოდ ზეცაა.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების განხილვა ცხადყოფს არმაზის ძვირფას ქვათა ჩამონათვალში ერთი თვალი პატიოსნის – ბივრიტის – მუდმივ არსებობას. აღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბივრიტ-ბივრილის ქვა არმაზის

თვალები იყო, ხოლო დანარჩენი — ფრცხილი, ზურმუხტი, იაკინთო — კერპის საშკაული. ამასვე შეიძლება მიანიშნებდეს ისიც, რომ ბივრიტი დასახელებულია „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციის იმ ეპიზოდში, როდესაც არმაზის მსხვრევის შემდეგ გადარჩენილი ბივრიტ-ბივრილის თვალი პატიოსანი წმ. ნინომ უვნებელი იხილა და „ძველ ქალაქში“ წაიღო. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ ვარიანტში აღნიშნული ეპიზოდი ასეა მოცემული: „— და ვითარცა დასცხრა რისხვაჲ იგი, გამოვედ კლდისა მისგან ნაპრალისა და ვპოვე თუალი იგი ბივრიტი, აღვიღე და წამოვედ წინა კერძო დასასრულისა მის კლდისასა, სადა ძველ ქალაქი ყოფილ იყო, და მის ადგილსა ყოფილ არს ციხე (13. 122). შინაარსობრივად მსგავსია იგივე ეპიზოდი ჭელიშური რედაქციისა.

ნინოს მიერ არმაზის დაქცევის შემდეგ ბივრიტ-ბივრილის თვალის პოვნა და მისი წამოღება მცხეთაში ასე აქვს აღწერილი ლეონტი მროველს: „ვითარცა დასცხრა რისხვა იგი მოვედ კლდისა მისგან ნაპრალისა და ვპოვე თუალი იგი ბივრიტი. აღვიღე და წარმოვედ. მუნ დგა ხე შუენიერი ბრინჯისა“ (11. 85). აქ ავტორის მიერ მხოლოდ ბივრიტზეა ყურადღება გამახვილებული მაშინ, როცა არმაზის კერპის აღწერისას იგი ზურმუხტსაც ახსენებს — „და თუალნი მისნი იყვნეს ზურმუხტისა და ბივრიტისანი“ (11. 83).

„ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში კი ბივრიტი ბროლითაა შეცვლილი, თუმცა იგივე აზრია გატარებული. მხოლოდ „წმ. ნინოს ცხოვრების“ არსენ ბერისეულ რედაქციასა და მის პერიფრაზში არაფერია ნათქვამი წმ. ნინოს მიერ თვალი პატიოსნის პოვნის შესახებ მაშინ, როდესაც იმავე თარგმანში, არმაზის კერპის აღწერისას, მითითებულია ბივრიტისა და იაკინთის თვლების არსებობაც: „თვალად მისდა აქუნდეს ქუაჲ ბივრიტი და იაკინთოჲ“ (19. 60).

ქრისტეს რჯულთან ჭიდილში არარაობად იქცა ძველი სარწმუნოება, ყველაფერი დაიმსხვრა. ახალი სარწმუნოების ძალამ, რომელიც რისხვად მოევლინა ყოველგვარ წარმართულსა და უმეცარს, დააქცია იგი, არ გაწირა მხოლოდ ერთადერთი ბივრიტ-ბივრილი, თვალი პატიოსანი. ახალი ღმერთის ეს ნება-სურვილი წმ. ნინომ სიმბოლოდ აღიქვა, ჩათვალა რა იგი ზენაარით მოვლენილი ღვთის კეთილ ნებად — ალბათ ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს შეიცავსო იგი და მიიღო და გაითავისა.

ნაწარმოების დეტალური განხილვის შედეგად ცხადი ხდება ურთიერთკავშირი ბივრიტ-ბივრილის სამგვარ მნიშვნელობას შორის:

ყოვლისმხედველი თვალი ადამიანისა — სხვა ორგანოთა შორის გამორჩეული, თვალისჩინივით ძვირფასი და ნათლის მხილველი.

თვალი პატიოსანი — ქვა ბივრიტისა მზეჩასასლებული და სხივოსანი, ენებით დამუხტული, საიდუმლოს ამომცნობი და შიშის მომგვრელი მხედველობის ორგანოს ორეულად ჩასმული არმაზის კერპის თვალ-ბუდეში.

თვალი — უშრეტი ენერგიით დამუხტული მზე ყოვლისმხილველი, მარად მოძრავი, ცეცხლოვანი ბორბალი, მცნობი ყოველი იდუმალისა, სითბო-სიყვარულის მწილადებელი და თავისი ცივი მრისხანებით დამაზრობელი ცოდვილთა ამა ქვეყნისა.

ვ. ნოზაძეს „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველებაში“ (14) მოჰყავს გრიგოლ რობაქიძის უაღრესად საინტერესო მსჯელობა: „დიდი ბრძენის პლოტინოსის მსოფლმხედველობაში გვხვდება: „თვალი მზიური“. გოეთემ მზიურობა თვალისა ერთ თავის შაირში შესანიშნავ ხტილად გამოჰკვეთა: თუ არ იყოს თვალი მზიური, ვით შეეძლოს ხილვა მზისა? მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში“. თვალით აქ ნაგულისხმევია მზე. პლატონი, გოეთე, ქართველი მევენახე — სამივე დიდ საიდუმლოს აცნობიერებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეთესათვის თვალი „მზიურ“, ქართველი მევენახესათვის კი იგი მზეა თვითონ... გავიხსენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა: „ღმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქოს გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“ ანათებს“ (14. 52).

თ. ჩხენკელი თვალის მზესთან წილნაყარობის ფუნქციურ დატვირთვას კიდევ ერთ მნიშვნელობას უძებნის. იგი აღნიშნავს: „მზე და თვალი ერთი სუბსტანციის ორ პოლუსს წარმოადგენდა, რითაც მაკროკოსმისა და მიკროკოსმის ურთიერთგანმსაზღვრელი ერთიანობა იყო მინიშნებული და კაცის ღმერთთან წილნაყარობის, მასთან ოდინდელი თანაზიარობის იდეა იყო გამოხატული“ (23. 15).

უძველესი დროიდან თითქმის ყველა რელიგიაში მზის სახებასთან ასევე დაკავშირებული იყო და ასტრალური შინაარსით მნიშვნელობდა ბორბალი (წრე). ამის საფუძველს წარმოადგენდა მზის სიმბოლოს გამოხატვა ბორბალში ჩახატული კაკვიანი ჯვრის სახით, რაც აღნიშნავს მზის კოსმიურ ბრუნვასა და სვლას საკუთარი ცენტრის გარშემო. ამიტომ ნივთიერი ბორბალი წარმოქმნისთანავე გაიგივებულ იქნა მზის სახებასთან. „იქმნება მიმართება მზე — ბორბალი — თვალი: თითოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი შინაარსობლივი ღირებულება და ამავე დროს ერთსა და იმავე საგანსაც, კერძოდ, მზეს, დიდი მნათობს აღნიშნავენ“ (17. 79).

მკვლევართა აზრით (6. 17), ბარბალე, რომელიც ქართველთა მზის ქალღმერთად ითვლებოდა, თავისი სახელდებით უკავშირდებოდა ბორბალს, სიმრგვალეს და ნათლის შემცველ სიტყვებს (მზე — ბარბალე — ბორბალი).

ვ. ბარდაველიძე განიხილავს რა ღვთაება ბარბარე-ბარბალეს არსს და მის გავლენას ქართველთა წარმართული წარმოდგენებზე, ასკვნის: „ქართველ ტომებში ფართოდ გავრცელებული შეხედულება ბარბალეზე, როგორც თვალის სინათლის მომნიჭებელ და თვალის ავადმყოფობის გამჩენ ღვთაებაზე ამ ღვთაების ასტრალური ბუნების მამჟღავნებელია, ამ შეხედულების საფუძველზე ბარბალე ისახება, როგორც მნათობი მზის ღვთაება“ (3. 57).

ი. სურგულაძე ღვთაება ბარბალესა და მზიური თვალის ურთიერთკავშირის შესახებ აღნიშნავს: „ქალღვთაება ბარბალე, სხვა სნეულებებთან ერთად, თვალის მკურნალადაც ითვლებოდა და მას სპეციალურ შესაწირავს, თვალის კაკლებს მიართმევდნენ ხოლმე“ (17. 79). აქედან გამომდინარე, ქალ-ღვთაება ბარბალე მზესთან, ბორბალთან და თვალთან დაკავშირებული უძველესი კოსმოგონიური შეხედულებების მატარებელი და გამაერთიანებელია (მზე, ბარბალე, ბორბალი, თვალი).

საფიქრებელია, რომ ბარბალეს სპეციალურ შესაწირთან — თვალის კაკალებთან — არის დაკავშირებული წმ. ნინოს მიერ კერპთა მსხვრევის შედეგად გადარჩენილი ბივრიტის თვალთა პოვნა და დაპატრონება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ნინო ქართლისათვის ქრისტეს „დედაა", ქრისტიანული მზით გასხივოსნებული და „ნაწილიანი", მისი მოციქული და მქადაგებელი. კერპთა მსხვრევის შედეგად ძველმა კერპმა მსხვერპლის სახით მოუტანა წმ. ნინოს (ახალ რელიგიას) თვალი პატიოსანი, რომელიც მას უნდა განეკურნა და ახალი მზით გაებრწყინებინა, გაეპატიოსნებინა. თვით წმ. ნინო, როგორც ქალ-ღვთაება ბარბალე, მკურნალი იყო და „ჰყოფდა კურნებათა მრავალთა" (13. 131). პირველ რიგში კი იგი ქართველთა წარმართული სულის მკურნალი გახლდათ.

რ. სირაძემ თავის გამოკვლევაში „წმ. ნინო და „დედა-უფალი" (15) წარმოგვიდგინა ის წინამძღვრები და იდეალები, რომელნიც ტრანსფორმირებული სახით უნდა განივთებულიყვნენ წმ. ნინოს სახეში. მკვლევარი რეტროსპექტული გზით ცდილობს აღადგინოს წარმართული პანთეონის მთავარი ქალ-ღვთაების, „დედა-უფლის", სახე, რომელსაც შემდგომში წმ. ნინოს სახე ჩაენაცვლა. რ. სირაძეს მოყვანილი აქვს წმ. ნინოსა და დედა-უფლის ნიშან-თვისებათა შეპირისპირება. ერთ-ერთი მათგანია ბივრიტის თვალი პატიოსანი. ჩვენი აზრით, ბარბალესთან, როგორც მზის ღვთაებასთან და აგრეთვე მკურნალთან, მსხვერპლად მიტანილი თვალის კაკლები კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია დედა-უფლის ტრანსფორმაციისა წმ. ნინოს სახეში.

თვალის საკრალურობას უკავშირდება ზოროასტრული ღვთაება მითრა, რომელიც ავესტაში აჰურა-მაზდას თვალად იწოდება და მის ემბლემად მიღებულია თვალების გამოხატულება.

ს. მაკალათია (12. 16) საქართველოში მითრა-მირსას კულტის არსებობის შესწავლისას აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს მირსობა, საზოგადოდ თვალის სალოცავია. საწესჩვეულებო რიტუალების საფუძვლიანი შესწავლის მიხედვით, ირკვევა, რომ მისარონის ხატთან ადგილობრივ მოსახლეობას მიჰყავს სულით ავადმყოფნი და თვალით სნეულნი. ღვთაებისადმი ლოცვაშიც თვალის სიმრთელის, სიჯანსაღის თხოვნაა ჩადებული. ადამიანებს ღვთაებისადმი მირთმეულ შესაწირად მოხარშული კვერცხები მიაქვთ, რომლებსაც თვალების გარშემო შემოატარებენ და მირსას ჩინის სიმრთელეს შესთხოვენ.

მითრა-მირსას თვალის ფუნქციურ დატვირთვას შესაძლოა გარკვეული აზრით დაუკავშირდეს ქართველთა კერპ-ღვთაება არმაზი (რომელიც აჰურა მაზდას კერპადქცეული სახეა). მართალია, ძველ ქართულ წყაროებში ავტორთა მიერ არმაზი პირდაპირ არ სახელდება მკურნალ ღვთაებად, მაგრამ ნაწარმოების დეტალური ანალიზი საფუძველს გვაძლევს, ამ კუთხითაც გავამახვილოთ ყურადღება.

„წმ. ნინოს ცხოვრების" შატბერდულ-ჭელიშური რედაქციების მიხედვით, მეფე მირიანი წმ. ნინოს კურნების ძალას არმაზს უკავშირებს და მას, ამ მიმართებით, არმაზის ასულადაც კი რაცხს: „— და მეფეცა იხილვიდა მცირედ — საქმესა მას და ორგულებით ეტყოდა ნინოს: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა? ანუ ხარ

შენ ასული არმაზისი..." (13. 131); რადგან ტექსტში არმაზის კურნების ძალის შესახებ სხვა რაიმე მინიშნება არ მოიპოვება, საფიქრებელია, რომ მირიანის ამგვარი მოსაზრება უკავშირდებოდეს წმ. ნინოს მიერ არმაზის მსხვრევისას გადარჩენილი კერპის თვალის დასაკუთრებას და მის წაღებას მცხეთაში, რაც ბივრიტ-ბივრილის თვალი პატიოსნ-ის კიდევ ერთ სიმბოლურ დატვირთვაზე მეტყველებს. ბივრიტის თვალის წართმევით, არმაზს წმ. ნინომ კურნების ძალა გამოაცალა და ამ მიმართებით, ქრისტიანული რე-ლიგიის ყოვლისშემძლეობა ცხადად წარმოაჩინა წარმართთა წინაშე. არმაზის მსხვრევ-ის შემდეგ ქართლის მკვიდრთათვის დარჩა ბივრიტ-ბივრილთან ნაზიარები მოციქული ქალი და მისი ღვთაებრივი მკურნალობის ნიჭი და ძალმოსილება.

მითრა-არმაზის ღვთაებათა თვალის ფენომენთან მიმართებას ფუნქციურად უკავში-რდება ამირანის მითში წარმოდგენილი ერთი ეპიზოდი, რომელსაც ბივრიტ-ბივრილის თვალთა სიმბოლურ გააზრებაში კიდევ ერთი შტრიხი შეაქვს.

ამირანის თქმულების დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვარიანტის მიხე-დვით, უშვილო მონადირემ პირობისამებრ თავისი ახლადშეძენილი ვაჟი ავსულს უნდა მისცეს. იგი შვილს ვერ გაიმეტებს და მის ნაცვლად თავის დათხრილ თვალს მისცემს მას. ასე მოიქცა იამანი სავაშლეთის დევის წინაშე.

მ. ჩიქოვანის აზრით (22), ამ მოტივის საფუძველი ადამიანის მსხვერპლად მიტან-ის ჩვეულებაში მდგომარეობს. ავ-სული თვალის სახით ითვისებს ორგანოს, რომელშიც ადამიანის სულია მოთავსებული. თვალის გამცემი არა მარტო სულს აძლევს სხვას, არამედ თავისთავზე ბატონობის უფლებასაც. ამ თვალსაზრისით, წმ. ნინომ არმაზის სული — ბივრიტ-ბივრილის თვალები — მიიტანა ბრინჯის ხესთან და ჯვარი გამოსახა, ე. ი. არმაზის სული საბატონოდ ქრისტეს მიართვა.

აქვე ინტერესსმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ერთ-ერთი ეპიზოდი ისლამის ისტორიიდან. ახლად ფეხადგმულმა ისლამმა მოსპო რა მთვარისა და მზის, აგრეთვე სხვა ქალ-ღვთაებათა კერპები, უცვლელად შემოინახა მექას შავი ქვისადმი თაყვანება, რაც გარკვეულ ასპექტში ეხმიანება არმაზის შემუსვრას და ბივრიტის პატიოსანი ქვის გადარჩენას.

წმ. ნინოს „ძველ ქალაქში" ელოდა მხოლოდ წარმართული ღვთაების რწმენით განმსჭვალული, მათი კერპის განადგურებით შეძრწუნებული ხალხი, რომელიც კერპთა მსხვრევას წარმართულ ძალთა შერკინებად აღიქვამდა. სინამდვილეში კი ეს იყო ახალი სარწმუნოების ქადაგის — ნინოს — ღმერთის გამარჯვება.

რატომ გადაარჩინა ახალმა ღმერთმა დამარცხებულ გოლიათთან ბრძოლაში მისი ურწმუნო სხეულის ნაწილი და რა სიმბოლური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ მოვლენას? საფიქრებელია, რომ ახალმა ღვთაებამ დაზოგა მხოლოდ ის, რაც მისთვის უცხო არ იყო და შეეძლო იგი თავისი მოძღვრების სამსახურში ჩაეყენებინა.

ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა სხვადასხვა წანამძღვრების დაძებნა, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა გამოვლინდეს გარკვეული თვალსაზრისი.

„გამოსლვათა" წიგნის მიხედვით (გამ. 28. 21), აჰრონის სამღვდელმთავრო სამოსი შემკულია 12 ძვირფასი ქვით. ისინი ისრაელის 12 ძის მოსახსენებლად ითვლება და

სიმბოლურად მათი საზოგადოება გამოხატავს ამავე მხარის 12 ტომს. აჰრონის სამოსის ძვირფას ქვათა შორის ერთ-ერთი ბივრილიონის თვალი პატიოსანია: „და სტიქონი მეოთხე — ოქრო ქვაი და ბივრილიონი და ფრცხილი“ (გამ. 28. 20). მოსეს ძმის — აჰრონის — სამღვდელმთავრო სამოსი, როგორც წმინდა საგანი, მემკვიდრეობით გადადის თაობებში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იოანე მახარებლის „გამოცხადებაში“ მოხსენებულ სხვა პატიოსან თვლებთან ერთად იერუსალიმის ზღუდის საფუძველს ბივრილის ქვაც ამკობდა.

ბივრიტ-ბივრილის გადარჩენის ერთ-ერთი წანამძღვარი იძებნება ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში „თვალთაჲ“, რომლის მიხედვით, ბივრილი სიმბოლურად იოსების თვალია. იოსები კი თავისი სიბრძნით — „მიიწია ფლობელებასა და ხელმწიფებასა“ (8. 165) და დაიმსახურა ფარაონისა და მთელი ეგვიპტის ქვეყნის სიყვარული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბივრიტი სიბრძნის, სიყვარულის, ძალოვნების სიმბოლოა. ბივრიტის მოპოვებით წმ. ნინო იძენს უფლებამოსილებას და ზეციური ხელმწიფის სიყვარულს იმსახურებს, შემდგომში კი ქართლის მეფის თაყვანისცემას, საყოველთაო სიყვარულსა და აღიარებას პოვებს.

ბივრიტის თვალი პატიოსანი ღვთიურია, რადგან „მოასწავებს ასულთა, რომლისა ნათესავისაგან შობად იყო ქრისტე“ (8. 160). რ. სირაძის აზრით, „ბივრიტი ყოფილა სიმბოლო დედათა მხრივ ქრისტეს შთამომავლობითი შტოსი. წმ. ნინოც სიმბოლურად ამ გენეალოგიური შტოს წევრად ჩაითვალა. სიმბოლურად ისიც შეიძლება ითქვას, რომ ნინო ქართლისათვის ქრისტეს „მშობელია“, რადგან ნინო ქართლისათვის ღვთისმშობლის მონაცვლეა“ (15. 155).

რადგანაც ბივრიტი სიმბოლურად იოსების თვალია, ამიტომ მისი მფლობელი უნდა იყოს სულიერად და ზნეობრივად სპეტაკი, ამაღლებული, სიკეთით გამსჭვალული ადამიანი; ეს თვალიც ამ ნიშნით გახდა წმ. ნინოს კუთვნილება.

ბივრიტის ზეციურ ნათელთან წილნაყარობაზე მეტყველებს წმ. ნინოს ღმერთის ძალისხმევით კერპთა მსხვრევის შემდეგ მისი გადარჩენა. მოციქული ქალის ხელში მოხვედრისას იგი უკვე გამორჩეული და მონათლულია. არსებობს კიდევ ერთი მთავარი მიზეზი ბივრიტის ხელუხლებლობისა და უვნებლად შენარჩუნებისა. მის წარმოსაჩენად საჭიროა, თხზულებიდან გავიხსენოთ კერპთა მიმართ მსხვერპლშეწირვის ეპიზოდი. არმაზი მრავალ უმანკო ყრმათა სისხლითაა გაჟღენთილი. შეიძლება ითქვას, რომ სპეტაკი სული, მართალია, ბოროტების სამსახურში მდგარ, მაგრამ ბუნებით მზიურ, პატიოსან თვალში განივთდა. ქრისტიანული თვალსაზრისით, თვით ბოროტ არსებაშიც კი არ შეიძლება, არ იყოს სიკეთის რაღაც მარცვალი. სწორედ ასეთი „მარცვალია“ ბივრიტი არმაზისათვის. არმაზის ძალა მზიურობაშია. სწორედ მზიურობაში სიკეთის არსებობას მიანიშნებს ბივრიტი. ეს უნდა იყოს ბივრიტის გადარჩენის მიზეზი. ბიბლიური იოსებიც ხომ უმანკო ყრმა იყო, როდესაც იგი ძმებმა გაწირეს და მისი სამოსი სისხლით შეალტვეს? ეს კი სიმბოლურად იოსების სისხლის დათხევას მიანიშნებს, ამიტომ ბივრილიც, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, უმანკოების სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

ღმერთმა ბივრიტ-ბივრილის მიძღვნით თითქოს ყრმათა უმანკო სულები ჩააბარა წმ. ნინოს, რათა მას შემდგომში სხვათა სულების გადასარჩენად ეზრუნა. აქ შეიძლება გავიხსენოთ თვალის ფუნქციის განმარტება, რომელიც მათეს სახარებაშია მოცემული: „სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს, ხოლო უკეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს"_ (მათ. 6. 22. 23).

აქედან გამომდინარე, რადგან ბივრიტი ბნელეთისა და ჯოჯოხეთის სამსახურში მდგარი კერპ არმაზის თვალია, თავისი არსის, მზიურობის, მიუხედავად იგი მაინც ბოროტი და უკეთური უნდა იყოს. წმ. ნინოს დანიშნულებაა, დაანგრიოს ბნელეთის მთავრისა და ცთომილების მომტანი არმაზის კერპული ხატება, წარმართობით მზედადგრომილ თვალს უმკურნალოს, თავისი პირვანდელი ფუნქცია აღუდგინოს, მზეჩასახლებული და სხივოსანი გახადოს, უშრეტი ენერგიით დამუხტული ქრისტიანობის სამსახურში ჩააყენოს. წმინდა, კეთილი თვალი ნათელი სხეულისა და სულის გამოხატულებად უნდა იქცეს. ბივრილის თვალმა წმ. ნინოს უნდა განუმტკიცოს სიყვარული, სიმშვიდე და სილამაზე, გააძლიეროს ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის ბრძოლაში. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს „წმ. ნინოს ცხოვრების" რედაქციებში ბივრიტ-ბივრილის ქვის პოვნასთან დაკავშირებული ეპიზოდი, როდესაც წმ. ნინომ თვალი პატიოსანი წამოიღო „ძველ ქალაქში" მდგარ ბრინჯის ხესთან და მასზე ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვარი გამოსახა: „_მუნ დგა ხჱ შვენიერი ბრინჯისაჲ_ მოვედ ქუეშე ხესა მას და გამოვინიშე ნიშანი იგი ქრისტეს ჯუარისაჲ" (13. 122).

თვალნი პატიოსანნი, როგორც ძვირფასი, სუფთა, უმწიკვლო, შეუბღალავი და ელვარე ქვები მნათობებს ჰგვანან და მათ მიეკუთვნებიან. ბერძნებს მზე წარმოდგენილი ჰქონდათ ცის უზენაეს თვალად. არმაზიც წარმართული ქართლის მკვიდრთათვის უპირველესი ღვთაებაა და ბივრიტ-ბივრილის თვალ პატიოსანში განივთებული მზეც მისი საკუთრებაა. კერპთა დაქცევის შემდგომ არმაზი ცის უზენაესი ღმერთის ტიტულს კარგავს და ნანგრევებად იქცევა. ამიტომ მზე-თვალი აღარ შეიძლება იყოს მისი ძვირფასი ნაწილი. იგი უზენაესი, უპირველესი და ჭეშმარიტი ღმერთის მიერ ბრძოლით მოპოვებული განძი — მზე-თვალია.

წარმართულ ღვთაებათა დაქცევა იყო პირველი გამარჯვება ნათლისა და ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზაზე. ამიტომ ბივრიტ-ბივრილის თვალი წმ. ნინოსათვის ერთგვარი ჯილდოა, ზეცით მოვლენილი. კაპადოკიელი მოციქულის მიერ პატიოსანი ქვის წამოღება კი ნიშნავს მის დაფუძნებას „ძველ ქალაქში". ბივრიტ-ბივრილმა ქართლის ერში უნდა დაამკვიდროს მყუდროება, სიმშვიდე, სიწმინდე და სიყვარული.

„თუალთაჲს" მიხედვით, „სახედ თუალი ბივრილი_ ედგმის გვირგვინს და სამკაულსა დედათა და შთაისმის ბეჭედსაცა ხელმწიფეთასა" (18. 165).

წმ. ნინო ქრისტეს „მშობელია" ქართლში, ამდენად, იგი ღვთიური შარავანდედითაა გარემოცული და სიმბოლურად ბივრილით გასხივოსნებული სადედოფლო გვირგვინის მფლობელია. წმ. ნინომ ეს პატიოსანი თვალი, ვითარცა ქრისტიანული ჭეშმარიტების ერთ-ერთი მარცვალი, მირიან მეფისა და ნანა დედოფლის — შემდეგ კი მთელი ქა-

რთლის მკვიდრთა მრწამსად უნდა აქციოს; თვალი პატიოსნის თვისებები კი, ვითარცა იოსების სახისმეტყველებითი მნიშვნელობის გამოხატულება, მეფე-დედოფლის არსებაში გაანივთოს.

კერპთა დაქცევისას არმაზის სამკაულადხმობილ სხვა პატიოსან თვალთა შორის მხოლოდ ბივრიტ-ბივრიტის თვალი პატიოსნის გადარჩენა განპირობებული უნდა იყოს მისი გამორჩეულობით და სიმბოლოდ დასახვით, რაც ლიტერატურული წყაროების განხილვითაც დასტურდება. ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ, არ არის გასაკვირი წმ. ნინოს მიერ ბივრიტ-ბივრილის წმინდა თვალად მიჩნევა, მისი დაპატრონება და „ძველ ქალაქში" წაღება.

ძვირფასი თვალი პატიოსნის პარადიგმული პოტენციის გამოვლენაში გვეხმარება სხვა ძველი თუ თანამედროვე, ქართული თუ უცხოური თხზულებების განხილვა, რომელთაგან მოკლედ შევჩერდებით შემდეგზე: „გამოცხადებაჲ წმინდისა მახარებლისა და ღვთისმეტყველისა იოანესი", „ბალავარიანი", ოსკარ უაილდის ზღაპარი „ბედნიერი უფლისწული", ვასილ ბარნოვის რომანი „არმაზის მსხვრევა" და გურამ დოჩანაშვილის რომანი „სამოსელი პირველი". აღნიშნული ნაწარმოებების ამ თვალსაზრისით შესწავლა მეტ სინათლეს მოჰფენს ბივრიტ-ბივრილის ძვირფასი ქვის დანიშნულების უკეთ შეცნობასა და წარმოჩენას.

იოანე მახარებლის „გამოცხადებაში" მოხმობილი ქრისტეს სიტყვა „პერღამის ეკლესიის" ანგელოზის მიმართ სპეტაკ ქვასთან დაკავშირებულ ჩვენთვის საყურადღებო გააზრებას მოიცავს: „რომელსა ჰქონიან ყურნი, ისმენენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა, ვითარმედ: რომელმან სძლოს, მივსცე მას მანანაჲსა მისგან დაფარულისა და მივსცე ქვაჲ სპეტაკი და ქვასა მასთანა სახელი ახალი დაწერილი; რომელი არავინ უწყის, გარნა რომელმან მიიღოს" (გამოცხ. 2. 17).

ქრისტეს სახელით გასულიერებული ბივრიტის თვალი პატიოსნის პირველი მფლობელი გახდა წმ. ნინო და მხოლოდ მან იცის ქვის საიდუმლო. ქრისტეს სიტყვათა მიხედვით, ვინც თავის ცოდვებს მოინანიებს, შენდობილ იქნება. იგი გახდება ამ სპეტაკი ქვის მფლობელი და მასზე ამოტვიფრული სახელის ერთადერთი მესაიდუმლე. წარმართ ქართველთა შორის პირველთაგანნი ბივრიტ-ბივრილის, ვითარცა ქრიატიანული მოძღვრების, ხილვისა და შეცნობის ღირსი ნანა დედოფალი და მირიან მეფე აღმოჩნდნენ, რადგან მათ აღიარეს და მოინანიეს საკუთარი ცოდვები. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წარმართობიდან მომდინარე და ქრისტიანულ აღმსარებლობაში ტრანსფორმირებული თვალი პატიოსნის სახე-სიმბოლოდ გააზრებას.

ძალზე საინტერესოა „ბალავარიანში" მოხმობილი თვალი პატიოსნის გააზრება და მისი მიმართება არმაზის ბივრიტ-ბივრილის ძვირფას ქვასთან. ბალავარისათვის თვალი არა ხელშესახები, კეთილშობილი ქვაა, არამედ უძვირფასესი განძია, წითელ წუნწუბაზე უმჯობესი. იგი ყოვლისშემძლებელი მოძღვრებაა, რომელიც სამყაროს ბრმათათვის ხილულ რაობად აქცევს, ყრუთა სმენას ჰარმონიულ ჟღერადობას ანიჭებს და განაცდევინებს, უტყვთა მეტყველჰყოფს, სნეულთა და უძლურთა განაძლიერებს და კურნებათა მრავალთა აღასრულებს; მცირედ მქონებელთა, მდაბალთა განამდიდრებს და მტერზე

გაამარჯვებინებს. ბალავარმა ქრისტიანული მოძღვრება თვალი პატიოსნის სიმბოლოთი შემოსა. მისი ხილვით სულითა და ხორცით წმინდა ადამიანს თვალი აეხილება, ხოლო ცოდვილსა და მრუმედ მაცქერალს — მოაკლდება, გაუქრება: „ — ვერვინ შემძლებელ არს ხილვად მისა, არა თუ იყვნენ მის თანა ორნი საქმენი: სიფრთხილე თვალთაჲ და სიწმინდე ხორცთაჲ" (2. 59).

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ სულისა და თვალის მკურნალი, მოძღვარი და ქადაგი ბალავარი სიმბოლური თვალი პატიოსნით ხელში მიდის იოდასაფთან, რათა სარწმუნო ჰყოს იგი და მზიურ ნათელს აზიაროს. თვალი პატიოსნის თვისებები ქრისტიანობის მთავარი ზნეობრივი, სულიერი და კეთილშობილური ღირებულებებია. ამიტომაა იგი ჭეშმარიტი რელიგიის სიმბოლური სახე.

ბუნებრივია დაისვას კითხვა: შესაძლებელია თუ არა „ბალავარიანში" მოხმობილი თვალი პატიოსნის აღმქმელი ადამიანის ორი „საქმე" („სიფრთხილე თვალთაჲ და სიწმინდე ხორცთაჲ") ახასიათებდეს არმაზ კერპის მლოცველ ხალხს (ბივრიტ-ბივრილი რომ შეიცნონ, როგორც ქრისტიანული მოძღვრების სიმბოლო)?

„ნინოს ცხოვრების" მიხედვით, ქართლის მკვიდრნი წარმართები არიან — ცოდვილნი და თვალდადგრომილნი. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წარმართ ქართველთათვის არმაზი არ არის ახლობელი, მშობლიური ღმერთი. იგი სიკვდილის შიშთან არის ასოცირებული და მას მხოლოდ პატივისცემით და კრძალვით ეპყრობიან. არმაზის (და საერთოდ კერპთა) თაყვანისცემა გაუცნობიერებელი მორჩილებაა, დაკანონებული მეფეთა მიერ. ხელმწიფე კი ერთადერთი, მზის შვილი და რჩეულია დედამიწაზე. მისი სიტყვა და საქმე ურყევი კანონია ყველასათვის. კერპთა დაქცევის შემდეგ ქართლის მკვიდრნი თავისუფალნი არიან (თუმც ეს არცა აქვთ გაცნობიერებული). მათ აღარ ჰყავთ თაყვანსაცემი ობიექტები, ველარ ხედავენ კერპებს; მხოლოდ ხსოვნა აქვთ შერჩენილი და ეს ხსოვნაც მალე გაქრება. ამიტომ ქართლის მკვიდრნი უკვე მზად არიან იხილონ თვალი პატიოსანი, რომელიც მათ განკურნავს და სულიერ სიმშვიდეს მოუვლენს. ისინი ქრისტეს მიერ ნათლის პირველი საფეხურის გავლით ნაწილობრივ განიწმინდნენ სულითა და ხორცით. ამრიგად, ქართლის მკვიდრნი განემზადნენ თვალი პატიოსნის ხილვისათვის აუცილებელი ორი ზნის (თვალთა სიფრთხილისა და ხორცთა სიწმინდის) შეთვისებისათვის. ყოველივე ამის შემდეგ კი ხდება თვალი პატიოსნის, ვითარცა ქრისტიანული მოძღვრების, თანდათანობითი დაუფლება. კერპთა მსხვრევის შემდეგ წმ. ნინო მიემართება ამგვარ სულიერ მდგომარეობაში მყოფ ხალხთან ბივრიტ-ბივრილით ხელში, რომელიც წარმართული რწმენიდან მომდინარე და ქრისტიანულ სარწმუნოებაში განივთებული ჭეშმარიტების მარცვალია (როგორც „ბალავარიანში" თვალი პატიოსანი). ყოველივე ამის მფლობელი და მეპატრონე, მკურნალი, მოძღვარი და ქადაგი წმინდა ნინოა, რომლის სული ბივრიტ-ბივრილის თვალი პატიოსანითაა გასხივოსნებული. მან უმკურნალა ბივრიტ-ბივრილის თვალს, როგორც ბარბალე მკურნალობს სნეულ თვალებს. ამიერიდან ბივრიტ-ბივრილის თვალი პატიოსანი ერის სამსახურში უნდა ჩადგეს, ზნეობრივად აამაღლოს და რწმენა განუმტკიცოს ისევე, როგორც ბალავარის თვალმა პატიოსანმა იოდასაფს შეაგრძნობინა ღვთაებრივი ჭეშმარიტება.

ბივრიტ-ბივრილის, როგორც პარადიგმული სახის, გაგებისათვის უაღრესად მნიშვნელოვნია ვ. ბარნოვის რომანი „არმაზის მსხვრევა", რომელშიც განსაკუთრებული ხაზგასმითაა გამოყოფილი, სხვაგვარი კუთხითაა დანახული და გააზრებული არმაზის თვალი პატიოსანი.

ვ. ბარნოვი რომანში ბივრიტ-ბივრილის თვალს აღიქვამს, როგორც წმ. ნინოსათვის საძულველი კერპის მხედველობით ორგანოს და სპარსთმფლობელობის მაჩვენებელ სიმბოლოს. ავტორმა ბივრიტი ბივრილიონის სისხლისფერი თვალებით შეცვალა (ალბათ შთაბეჭდილების გამძაფრების მიზნით), რაც მისი მხატვრული ამოცანითაა განპირობებული: „მიმოდიოდნენ მთის მწვერვალზე ცეცხლის ბირთვები, უცბად ქრებოდნენ მეტისმეტად ანათებდნენ სიბნელეში არმაზის თვალნი" (4. 547). მისი მრისხანება კი გამოწვეული იყო ჯვრის ქადაგთა „ძნელი სიტყვებით".

ვ. ბარნოვი განსაკუთრებულად გამოჰყოფს არმაზის თვალთა თვისებებს, რომელთათვის დამახასიათებელი არაა უძრაობა და ბრწყინვალედ ცივი მზერა, „სიცოცხლის წყალი" ლივლივებს მათში (როგორც ეპიფანე კვიპრელის მიერ აღწერილ ბივრილიონში წყლის ჭავლი მიმოიქცევა). სულში „ხედვათა ისრების" გამჭოლ ბივრილიონის თვალებში დიდხანს დაჟინებით მზერა ვერ შეძლო წმ. ნინომ: „ლამის გამტეხოს ამ კერპის თვალმა", — ამბობს იგი (4. 517) და მათ ყოველი დაფარულის „გამომაძიებელი" და გულთამხილავი სატანის ჯოჯოხეთურ თვალებად აღიქვამს. წმ. ნინო არმაზის მზიურობასა და ძალმოსილებას ბივრილიონის თვალებში ხედავს და ამიტომ, უპირველს ყოვლისა, მათ განადგურებას ესწრაფვის. „— დადგება ჟამი, ჩემის ხელით აგმოგწოდა თვალნი საზარნი!" (4. 517), — იქადის ნინო და არმაზის მსხვრევის შემდეგ სისრულეში მოჰყავს თავისი მუქარა; რვალის შუბლგახეთქილ კერპს „ამოსწოდა" დაცვივნულნი თვალნი და „დაანარცხა ტრაპეზის ქვას, დაანაჭუჭა" (4. 558).

ვ. ბარნოვის მიერ ამ ეპიზოდის სახეცვლას კიდევ ერთი მიზეზი გააჩნია. ავტორმა „წმ. ნინოს ცხოვრების" რედაქციათა მიხედვით იცის, რომ კერპთა მსხვრევას და ნინოს მიერ ბივრიტის „ძველ ქალაქში" წაღებას არმაზისადმი რწმენის დაკარგვა არ გამოუწვევია (მირიან მეფის ხსოვნაში არმაზის ადგილი „შეუძრავ არს"), რომ ქართლის მკვიდრთა მოქცევა მზის დაბნელებას მოჰყვა. რომანში კი მოვლენები სხვა თანმიმდევრობით ვითარდება. აქ ჯერ მზის დაბნელების ეპიზოდია, შემდეგ — არმაზის მსხვრევა. ამიტომ ვ. ბარნოვი, რომელიც ახალი რელიგიის დამკვიდრებისათვის გადამწყვეტ მოვლენად კერპის დაქცევას მიიჩნევს, არმაზის თვალთა განადგურებით საბოლოოდ სპობს სპარსთმფლობელობის ძარღვს, რათა მან მომავალში კვლავ არ იჩინოს თავი. არმაზს ამარცხებს ორი მოქიშპე რელიგიის (ძველი ქართული, მამა-პაპათა ღმერთებისა და დასავლეთიდან მოსული ქრისტეს) ერთობლივი ძალისხმევა. რომანის ფინალი ქრისტიანობის ზეიმით არ მთავრდება; უფრო მეტად მამა-პაპათა ღმერთების აღდგენის სურვილია გაცხადებული და ამდენად, ნინოს მიერ ბივრილიონის თვალის, როგორც არმაზის ყველაზე საშიში ძალის, შენახვასა და მცხეთაში მის წაღებას აზრი ეკარგება.

„არმაზის მსხვრევაში" კერპის თვალ-ბუდეში ჩამჯდარ ძვირფას ქვათა ვ. ბარნოვისეული გააზრება რადიკალურად განსხვავდება „წმ. ნინოს ცხოვრების" შატბერდულ-

ჭელიშური რედაქციისაგან, მაგრამ მათი ძირითადი სტრუქტურული მოდელი საერთოა: არმაზში განივთებული ბივრიტ-ბივრილი; კერპის მსხვრევის შემდეგ მისი უვნებლად გადარჩენა და ნინოს მიერ თვალი პატიოსნის პოვნა. სწორედ ეს მოვლენებია განმსაზღვრელი და ბივრიტის სიმბოლური სახის პარადიგმულობის წარმომაჩენელი.

საინტერესოა თვალი პატიოსნის სიმბოლური გააზრება გ. დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი" (7). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი არმაზის ბივრიტ-ბივრილის პარადიგმულ სახესა და გ. დოჩანაშვილის თხზულების სიმბოლო — ამეთვისტოს შორის.

რომანის ფაბულად გამოყენებულია სახარების ერთ-ერთი ეპიზოდი, კერძოდ, „ძე შეცდომილის" იგავი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნაწარმოებში სამოსელი პირველი (რომელსაც მამა გადასცემს შვილს), პატიოსანი თვლებით არის შემკული. საფიქრებელია, რომ ამ მხატვრული სახის წანამძღვრები დაიძებნოს ძველი აღთქმის წიგნში „გამოსლვათა", სადაც მღვდელმთავარი აჰრონის სამოსი დამშვენებული იყო 12 პატიოსანი თვლით (ისრაელის 12 ძის შესაბამისად). აჰრონმა თავისი უწმინდესი სამოსი ძვირფას თვლებთან ერთად თავის ძეს გადასცა მემკვიდრეობით.

გ. დოჩანაშვილის რომანშიც სამოსელი შემკულია ამდენივე პატიოსანი თვლით, რომელნიც ადამიანთა სულის გამომხატველნი არიან. როდესაც სამოსელი დაიწვა, სხვა ქვათა შორის გადარჩა მხოლოდ ერთადერთი ქვა — ამეთვისტო (როგორც ბივრიტ-ბივრილი კერპთა მსხვრევის დროს): „და მხოლოდ ერთ ქვას — დიდ ამეთვისტოს ვერ ედებოდა მრისხანე როკვით შეპოტინებული ცეცხლი" (7. 631).

ამ თვალის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ რომანის დასაწყისშივეა მითითებული. სამოსელი პირველის ნახვისას დომენიკოს მამა სხვა თვალთა შორის გამოყოფს ამეთვისტოს და თავის წილ სითბოს მას გადასცემს: „ყოველ ქვას უბაცდებოდა თამამი კაშკაში და მხოლოდ დიდი ამეთვისტო გრძნობდა ხელისგულის სითბოს" (7. 49). დიდ სტიქიონს გადარჩენილი ამეთვისტო — „ცეცხლმოუდები, მეუფიანი, ანა-მარიას მოციაგე ქვა" (7. 637) — დომენიკოსათვის მუდმივად თანმხლებ თილისმად იქცა. დომენიკო ფლობს სითბოთი დამუხტულ ქვას ამეთვისტოს, როგორც მამის წინაშე ცოდვების მონანიების საფასურს — ისე, ვით წარმართი მირიანი თავისი მომავალი სულიერი დედის — წმ. ნინოს — მიმართ ბივრიტის მეშვეობით აცნობიერებს ქრისტეს მიმტევებლობის ძალას. დომენიკო ღირსი ხდება ანა-მარიას სულის თანაზიარობისა და ამეთვისტოს ტარებისა, რადგან მისი სული კათარზისგანვლილია. მირიანი და მისი სამეფოს მკვიდრნი ბივრიტის საშუალებით უნდა ამოვიდნენ ბნელიდან და ეზიარონ ზეციურ ნათელს.

თვალი პატიოსანი უვნებელი გადარჩა, როგორც სიმბოლო ანა-მარიას მშვენიერი სულისა. ა. ბაქრაძის აზრით (5), ანა-მარია სულიერი ცხოვრების, საერთოდ, სულიერების სახის აღმნიშვნელია. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ავტორმა ამეთვისტო დიდი ადამიანური სითბოთი დამუხტა და მარადიული, „დედამიწის მამოძრავებელი", ადამიანური სიყვარული გაანივთა მასში. რომანის მიხედვით, ამეთვისტო სულიერების გამომხატველი და დიდი ადამიანური სითბოს შემნახველი ქვაა, ვითარცა იაკობის უწმინდესი ძის — იოსების — ქვა ბივრილი. ორთავე ქვის — ამეთვისტოსა და ბივრილის — სიწმინდე ქალთა — ანა-მარიასა და წმ. ნინოს სახესთანაა დაკავშირებული.

თუ უცხოური ლიტერატურის მასალასაც მოვიშველიებთ, ბივრიტ-ბივრილის პარალელი იძებნება ოსკარ უაილდის ზღაპარში „ბედნიერი უფლისწული" (18), სადაც კერპის საფირონის თვალებს სხვაგვარი შინაარსობლივი დატვირთვა აქვს, თუმც ძვირფასი ქვების სიმბოლური მნიშვნელობა მსგავს თვალსაზრისს შეიცავს.

კერპადქცეულმა ბედნიერმა უფლისწულმა საფირონის თვალები გაიღო უპოვარი და უბედური ხალხისათვის. მათ ვერ დააფასეს პრინცის მიერ გაცემული უჩინარი სიკეთე და ზურგი აქციეს დაგლახაკებულ, განძარცვულ კერპს. ბედნიერი უფლისწული თვით დაბრმავდა, მაგრამ საკუთარი სიბნელის გზით სხვა გაანათა და ხალხს მიანიჭა ბედნიერება, როგორც თავისი წარსული უზრუნველი ცხოვრების საზღაური. უფლისწულის თვალებად და გულისთქმის შემსრულებლად მეგობარი მერცხალი იქცა. ცეცხლით შემუსვრილი კერპისგან გადარჩა მხოლოდ უფლისწულის ერთადერთი გაუცემელი განძი — გული (როგორც უნაპირო სიყვარულის სიმბოლო) და თვალები (მერცხლის სახით), რომელიც სამუდამო ნათელში დამკვიდრდა.

ბივრიტ-ბივრილის თვალი პატიოსანი დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს. სამების საკათედრო ტაძარში დაბრძანებული წმინდა ნინოს ხატის ცენტრალურ ნაწილზე მოციქულთა სწორის გამოსახულებასთან მხოლოდ ბივრიტის თვალია მოთავსებული; ხოლო წმინდანის ირგვლივ მცირე ზომის კომპოზიციებში, სადაც წარმოდგენილია მისი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდი, ერთ-ერთი მათგანი სწორედ ნინოს მიერ ბივრიტის პოვნას ასახავს. ბივრიტ-ბივრილის თვალი პატიოსნის ქრისტიანულ სიწმინდედ დასახვა-დამკიდრება მისი სიმბოლური დატვირთვის ერთგვარი დამოწმებაა, მისი სულიერების გაცხადებაა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბივრიტ-ბივრილის ძვირფასი ქვის პარადიგმულ სახეს თავისებური სიმბოლური დატვირთვა აქვს. პირველსახის მხატვრული შინაარსის ანალიზი, განსაკუთრებით ახალი თვისებების გათვალისწინებით, პარადიგმის შინაგანი არსის შეცნობის საშუალებას იძლევა. მხატვრული სახის ამგვარი კვლევა კი მხატვრული აზროვნების ცალკეული თავისებურების წარმოჩენის საფუძველს ქმნის, რასაც ეროვნული კულტურის შესწავლის დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ლიტერატურა

1. არსენ ბერი, „ცხოვრება და მოქალაქეობა და ღუაწლი წმინდის და ღირსისა ჩუენისა ნინოისა...", ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, თბ., „მეცნიერება", 1973.
2. „ბალავარიანი", ქართული პროზა, ტ. I, თბ., „საბჭოთა საქართველო", 1982.
3. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1941.
4. ვ. ბარნოვი, „არმაზის მსხვრევა", თხზ., ტ. 7, თბ., „საბჭოთა მწერალი, 1923-25.
5. ა. ბაქრაძე, სულის ზრდა, თბ., „ხელოვნება", 1986.
6. მ. ბროსე, ქართლის ცხოვრება დასაბამითგან XIX ს-მდე, ნაწ. I, პეტროგრადი, 1923.
7. გ. დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი", თბ., „საბჭოთა საქართველო", 1982.

8. ეპიფანე კვიპრელი, „თუალთაჲ", შატბერდის კრებული, თბ., „მეცნიერება", 1979.

9. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შეკრებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიული ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნ. I ტფ., გ. დ. ქართველიშვილის სტამბა, 1885.

10. თეიმურაზ ბატონიშვილი, „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა", სანკტპეტერბურგი, სამეცნ. აკად. სტამბა, 1848.

11. ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., „სახელგამი", 1955.

12. ს. მაკალათია, ჯვეკ-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., საქ. სამხარეთმცოდნეო საზოგადოების გამ-ბა, 1938.

13. „მოქცევაჲ ქართლისაჲ", „ნინოს ცხოვრების" შატბერდულ-ჭელიშური რედაქციები, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1953.

14. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტ-იაგო დე ჩილე, 1957.

15. ო. უაილდი, ბედნიერი უფლისწული, რჩეული თხზ., ტ. I, მ., „მხატვრული ლიტერატურის" სახ.გამომცემლობა, 1961.

16. რ. სირაძე, „წმ. ნინო და „დედა-უფალი", „მნათობი", საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1985, №2.

17. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., „საბჭოთა საქართველო", 1966.

18. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., „მეცნიერება", 1986.

19. უცნობი ავტორი (XIII ს.), „ნინოს ცხოვრება", ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, სოლ. ყუბანეიშვილის რედ., თბ., თსუ გამ-ბა, 1946.

20. „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის რედ., თბ., თსუ გამ-ბა, 1953.

21. ქართულ-რუსული ლექსიკონი, დ. ჩუბინაშვილის რედ., თბ., „საბჭოთა საქართველო", 1984.

22. მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., თსუ გამ-ბა, 1947.

23. თ. ჩხენკელი, მშვენიერი მძლეველი, თბ., „მეცნიერება", 1989.